სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა

10 ოქტომბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციას“, „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციასა“ და სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა სადრენაჟე და საირიგაციო სისტემებზე განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და სამუშაოების წარმოების პროცესებზე იმსჯელეს. სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებმა, ასევე, სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისას წარმოქმნილ მათთვის მნიშვნელოვან ფაქტორებზე გაამახვილეს ყურადღება.

შეხვედრას 30-მდე სამშენებლო კომპანიის, მათ შორის, შპს „საქართველოს მელიორაციის“ კონტრაქტორი და არაკონტრაქტორი კომპანიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

4 ნოემბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას აქტიურად აგრძელებს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

აღდგენითი სამუშაოები უტარდება მარცხენა მაგისტრალური არხის 14 კილომეტრიან მონაკვეთს და მასზე არსებულ სხვადასხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობას (გალერეა, დიუკერი, გვირაბი, სახიდე გადასასვლელი, ღვარსაშვი).

მიმდინარე ღონისძიებების შედეგად, კახეთში სარწყავი წყლის მიწოდება 5000 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება.

აღდგენილი საირიგაციო სისტემით მუნიციპალიტეტის 5 სოფლის (ნინოწმინდა, საგარეჯო, გიორგიწმინდა, თოხლიაური, მანავი) მოსახლეობა ისარგებლებს.

საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი ოთარ შამუგია სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

ხაშურში მდინარე შოლას არხის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს

8 ნოემბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქალაქ ხაშურში, მდინარე შოლას არხის აღდგენით სამუშაოებს ატარებს. ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან იწმინდება ღია და დახურული კოლექტორების 1800 მეტრი სიგრძის მონაკვეთი. მოწესრიგდება მიმდებარე ტერიტორია და ინფრასტრუქტურა.

სამუშაოები, არხში წყლის შეუფერხებელ გადინებას უზრუნველყოფს, რაც უხვი ნალექის დროს ქალაქ ხაშურსა და ცენტრალურ მაგისტრალს დატბორვისგან დაიცავს.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ოთარ შამუგია და შიდა ქართლის გუბერნატორი გიორგი ხოჯევანიშვილი ხაშურში მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ და მოსახლეობას შეხვდნენ.

გაწმენდით ღონისძებებს საქართველოს მელიორაცია საკუთრი ძალებით ახორციელებს.

ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია დასრულდა

16 ნოემბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია დაასრულა.

პროექტის ფარგლებში, რკინაბეტონის 4 კმ სიგრძის ახალი არხი მოეწყო. რეაბილიტაცია ჩაუტარდა მაგისტრალური არხის წყალგამანაწილებელს და მასზე არსებულ სხვადასხვა ტიპის ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს.

დამონტაჟდა წყალაღების კვანძები და პარაბოლური ღარები.

სამუშაოები, რომელიც საირიგაციო სისტემას ჩაუტარდა, უზრუნველყოფს სოფელ სართიჭალაში დამატებით 1200 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მორწყვას.

ბოლო 6 წლის განმავლობაში ქვემო ქართლში, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 39 სარეაბილიტაციო პროექტი განხორციელდა. შედეგად, რეგიონში დამატებით 23475 ჰექტარია წყალუზრუნველყოფილი, ხოლო სარწყავი წყლის მიწოდება 22 520 ჰექტარ სავარგულზე გაუმჯობესდა.

ფოთში სარეგულაციო ჰიდროკვანძის რეაბილიტირებული ნაგებობა გაიხსნა

18 ნოემბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, მაია ცქიტიშვილმა ფოთში, მდინარე რიონის სარეგულაციო ჰიდროკვანძის რეაბილიტირებული ნაგებობა გახსნეს.

რეაბილიტაცია შპს „საქართველოს მელიორაციამ“ განახორციელა, რაზეც 1 336 000 ლარი დაიხარჯა. ჩატარდა ყველა საჭირო სამუშაო იმისთვის, რომ შესაძლო წყალდიდობების შემთხვევაში, ნაგებობა მზად იყოს გაატაროს წყლის მაქსიმალური მოცულობა.

„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაგებობა - როგორც წყლის დონის, ისე ნაკადის რეგულირებისათვის, რათა სტიქიური უბედურებების დროს ქალაქი ფოთი და მიმდებარე ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო ფართობები არ დაიტბოროს. იგი აგებულია 1959 წელს და ფაქტობრივად სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის მას სჭირდებოდა კაპიტალური რემონტი, რაც განახორციელა კომპანია მელიორაციამ. ეს მნიშვნელოვანი საქმეა ქალაქ ფოთისთვის და მიმდებარე სოფლებისათვის“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მომავალი წლიდან მდინარე რიონის სარეგულაციო ჰიდროკვანძის ნაგებობასთან ახლოს მდებარე ხიდის რეაბილიტაციას იწყებს, რომლის შესახებაც მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა ისაუბრა.





„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს და არა ერთ პროექტს ვახორციელებთ. ჩვენ სამინისტროს ბევრი პროექტი აქვს ფოთში, მათ შორის არის გენერალური განვითარების გეგმა, რომლის შემუშავებაც უკვე მიმდინარეობს. ასევე, დაგეგმილია ფოთის ხიდის რეაბილიტაცია. აღსანიშნავია, რომ აზიის განვითარების ბანკისგან გვაქვს თანხმობა ამ პროექტის დაფინანსებაზე, რომელიც მომალ წელს დაიწყება.

ეს არის პროექტი, რომელსაც ფოთის მოსახლეობა წლების განმავლობაში ელოდებოდა“, განაცხადა მაია ცქიტიშვილმა. პროექტის ფარგლებში აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა სარეგულაციო ჰიდროკვანძს, რომელიც კაშხლისა და რაბრეგულატორისგან შედგება, ახლით შეიცვალა ამორტიზებული ელექტრომექანიკური მოწყობილობები; გარემონტდა წყალგამყოფი კაშხლის კონსტრუქცია და მისი დამხმარე ნაგებობები; კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტორია.

ობიექტის მთელს ტერიტორიაზე აქტიური სამუშაო პროცესები ხუთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. მდინარე რიონის სარეგულაციო ჰიდროკვანძის რეაბილიტირებული ნაგებობის გახსნას ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ხახუბია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი, ადგილობრივი თვთმართველობისა და სამინისტროების შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ოთარ შამუგია დასავლეთში ინფრასტრუქტურულ პროექტებს მაეცნო

20 ნოემბერი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა დასავლეთში არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული ობიექტები დაათვალიერა.

ოთარ შამუგია მიმდინარე და დასრულებულ სამელიორაციო პროექტებს გაეცნო. დაათვალიერა რეაბილიტირებული აჯამეთის და მაშველის სარწყავი სისტემების სათავე ნაგებობები. იმყოფებოდა ოზურგეთის და აბაშის მუნიციპალიტეტებში, სადაც მერეკრძელა-კაპროვანის და ანჯელის მასივის დამშრობი სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

გურიაში მიმდინარე მაგისტრალური არხების 4 კილომეტრიანი წყალგამყვანი მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოები, ჭარბწყლიანობისგან დაიცავს სოფელ ნატანების 640 ჰექტარ მიწის ფართობს, ხოლო ანჯელის მასივის სამუშაოების შედეგად, მოსახლეობა დამატებით 500 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე ისარგებლებს სადრენაჟე მომსახურებით.

გენერალურმა დირექტორმა კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად, ადგილზე განიხილა სამომავლო გეგმები და ის პროექტები, რომლებსაც უახლოეს პერიოდში კომპანია დასავლეთ საქართველოში განახორციელებს.

სალთვისის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

24 ნოემბერი

შიდა ქართლში, სალთვისის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში, ალტერნატიული და ძლევიჯვრის მაგისტრალური არხების ტრაპეციული და მართკუთხა კვეთები სრულად მოპირკეთდება მონოლითური რკინაბეტონით; მოეწყობა ჰიდროტექნიკური ნაგებობები. ასევე, გათვალისწინებულია არხებიდან გამომავალი გამანაწილებლების რეაბილიტაცია.

სამუშაოები უზრუნველყოფს 1215 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის ირიგაციას.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი, შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ოთარ შამუგია, შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე სიმონ გულედანი და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი თოთლაძე მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ.

აღდგენილი სისტემით გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების სოფელ ფხვენისის, ქვემო ხვითის, შინდისის, ყელქცეულის, ბრეთის მეურნეობის, ძლევიჯვრისა და დირბის მოსახლეობა ისარგებლებს.

რეაბილიტირებული არხები წყალს მიაწვდის სალთვისის სარწყავი სისტემის გ-2 გამაწილებელ არხს, რის შედეგადაც გაუმჯობესდება წყლის მიწოდება და თვითდინებით მორწყვის საშუალება ექნება 2928 ჰექტარ სავარგულს.

სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლოს დაიწყო და 2019 წლის ივლისში დასრულდება.

პარალელურად, გ-2 გამანაწილებელი არხის რეაბილიტაციაზე დაწყებულია დეტალური პროექტის მომზადება, რომლის დასრულების ვადაა 2019 წლის აპრილი, ხოლო სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია 2019-2020 წლებში.

რეაბილიტაცია, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის (AMMAR) ფარგლებში ფინანსდება.

ლამი-მისაქციელის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

26 ნოემბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ლამი-მისაქციელის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს.

პროექტის ფარგლებში, არხების ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები 2030 მეტრი სიგრძის მონაკვეთზე მიმდინარეობს. მონტაჟდება ახალი, რკინა-ბეტონის ფილები; ეწყობა მაგისტრალური არხის ჩამქრობი ჭა და ბერმები.

ლამი-მისაქციელის სარწყავი სისტემა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის 15 სოფელს (წითელსოფელს, ნაოზას, აღდგომლიანთკარს, მისაქციელს, ნატახტარს, ახალუბანს, წილკანს, ერედა, ძალისს, მუხრანს, ქანდას, ჩარდახს, წეროვანს, გოროვანსა და ვარდისუბანს) ემსახურება.

სარწყავი სისტემა 5 000 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს რწყავს.

ბოლო 6 წლის განმავლობაში მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დასრულდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 13 სარეაბილიტაციო პროექტი, შედეგად, დამატებით წყალუზრუნველყოფილია 4 660 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდა 1 600 ჰექტარზე, ხოლო დრენირებული მიწის ფართობი შეადგენს 3 400 ჰექტარს.

გაიწმინდა და მოწესრიგდა 697კმ სამელიორაციო არხი შეკეთდა სხვადასხვა ტიპის 351 ჰიდროტექნიკური ნაგებობა.

სამუშაო შეხვედრა წყალმომხმარებლებთან

30 ნოემბერი

მსოფლიო ბანკის „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის“ მხარდაჭერით, მიმდინარე წელს ქვემო სამგორის საირიგაციო სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია დასრულდა.

2019 წელს დაგეგმილია შიდა სამეურნეო ქსელის საპროექტო სამუშაოები.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ინფორმაციის გავრცელების მიზნით, პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებულმა წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების (წმო) ხელშეწყობის ჯგუფმა მსოფლიო ბანკის რეგიონალურ მრჩეველთან ერთად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერთან, მერების წარმომადგენლებთან სოფლებში (ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის ფუნქციონირების არეალი) და შპს „საქართველოს მელიორაციის“ რეგიონალური სამსახურების თანამშრომლებთან საინფორმაციო სემინარები ჩაატარა.

მნიშვნელოვანია უშუალოდ სისტემის მომსახურების ტერიტორიაზე არსებული ფერმერების/წყალმომხარებლების წარმომადგენლებთან შეხვედრები.

წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების ხელშეწყობის ჯგუფი ტექნიკურ კონსულტაციებს გაუწევს ფერმერებს, როგორც პროექტირებისას, ასევე, სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის დროს.

მსოფლიო ბანკის ჯგუფმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში (საგარეჯო, იორ-მუღანლო), საგარეჯოს მერიის, შპს „საქართველოს მელიორაციისა“ და ფერმერთა წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრები გამართა, სადაც ტექნიკური საკითხები განიხილეს.

ფერმერთა მხრიდან შეიქმნა საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც მჭიდროდ ითანამშრომლებენ მსოფლიო ბანკის წმო-ების ხელშეწყობის გუნდთან.

იმირასანის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

4 დეკემბერი

ქვემო ქართლში 2600 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ იმირასანის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალური არხის რეაბილიტაციას ახორციელებს.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, ოთარ შამუგიამ, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა, შოთა რეხვიაშვილმა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით შერაზადიშვილმა ბოლნისში მიმდინარე სამუშოები დაათვალიერეს და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ.

პროექტის ფარგლებში, მდინარე მაშავერაზე განთავსებულ სათავე ნაგებობაზე შეიცვლება გამრეცხი გალერეის ფარები თავისივე ამწე მექანიზმებით, დამონტაჟდება ლითონის გისოსები.

რეაბილიტირდება იმირასანის მაგისტრალური არხის 5,5 კილომეტრიანი მონაკვეთი. არსებული გრუნტის არხი მოპირკეთდება ბეტონით. სამუშაოები 2 ლოკაციაზე მიმდინარეობს.

მიწის ტრაპეციული არხი, რომელიც სოფელ ჭაპალას მჭიდროდ დასახლებულ უბანში გადის, შეიცვლება ბეტონის მართკუთხა ფორმის არხით. არხზე ასევე, მოეწყობა წყალაღების კვანძი, წყალაღების კვანძი შემტბორავით, გამანაწილებელი ჭა, საავტომობილო და საფეხმავლო ხიდები.

აღდგენილი საირიგაციო სისტემით ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაპალასა და სავანეთის 2600 ჰექტარ სავარგულზე გაუმჯობესდება წყალუზრუნველყოფა.

საქართველოს მელიორაციამ ბოლო 6 წლის განმავლობაში ქვემო ქართლის მხარეში, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 39 სარეაბილიტაცო პროექტი განახორციელა, რომლის შედეგად, დამატებით 23 473 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გახდა წყალუზრუნველყოფილი, ხოლო წყლის მიწოდება 22 517 ჰექტარზე გაუმჯობესდა.

ოთარ შამუგია მსოფლიო ბანკის მისიის წარმომადგენლებს შეხვდა

6 დეკემბერი

"ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების" პროექტის ფარგლებში, გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მონიტორინგის მიზნით, 3-7 დეკემბერს, საქართველოს მსოფლიო ბანკის მისია სტუმრობს.

ვიზიტის ფარგლებში, "ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროგრამის" ხელმძღვანელი, ვილფრედ ჰანდერტმარკი, მოადგილესთან, რუფიზ ჩირაგზადესთან, მსოფლიო ბანკის ადგილობრივ წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან ერთად, შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურ დირექტორს, ოთარ შამუგიას შეხვდა.

შეხვედრაზე მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელებული სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო პროექტი და "საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგიის" სამოქმედო გეგმაზე იმსჯელეს.

განიხილეს საქართველოს კანონონპროექტი წყალმომხმარებელთა ორგანზიაციების შესახებ, სახელმწიფოს მხრიდან ფერმერების მხარდაჭერის პროგრამები და წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შექმნისათვის საჭირო ღონისძიებები. შეხვედრაზე ასევე ყურადღება გამახვილდა ქვეყნისთვის საირიგაციო დანიშნულების წყალსაცავებისა და სარწყავი სისტემების მოდერნიზაციის მნიშვნელობაზე.

კასპის მუნიციპალიტეტში, მდინარე თეძამზე, სოფელ ჩაჩუბეთთან ახლადმოსაწყობი თეძამის წყალსაცავის ტექნიკურ-ეკონომიკური (Feasibility) კვლევის, 25 საირიგაციო სისტემის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური (pre-feasibility) კვლევისა და წყლის ტარიფების (მათ შორის ტექნიკური და ჰესებისთვის) გაანგარიშების დაფინანსების საკითხებზე.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა მზადყოფნა გამოთქვეს აღნიშნული მიმართულებით ქვეყანას გაუწიონ გარკვეული დახმარება და განიხილონ ზემოაღნიშნული პროექტების დაფინანსების საკითხი.

შეხვედრას შპს „საქართველოს მელიორაციის“ ტექნიკური დირექტორი თენგიზ ლაკირბაია, ფინანსური დირექტორი დავით ტეტუნაშვილი და კომპანიის სხვა ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

სილნაღის მუნიციპალიტეტში მაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

10 დეკემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სამელიორაციო სისტემების მოწესრიგების სამუშოებს ატარებს. სოფელ ძველ ანაგაში ნალექისა და ხე-მცენარეებისგან იწმინდება დამშრობი არხის 1450 მეტრიანი მონაკვეთი. მიმდინარე სამუშაოები მუნიცინიპალიტეტში 50 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს დატბორვისგან დაიცავს და უზრუნველყოფს 75 ჰექტარ სატბორე მეურნეობისთვის წყლის მიწოდების გაუმჯობესებას. სამუშაოები მიმდინარე წლის დეკემბრის დასაწყისში დაიწყო და თვის ბოლოს დასრულდება.

მარნეულის მუნიციპალიტეტში სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს

11 დეკემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სარწყავი და სადრენაჟე არხების აღდგენით სამუშაოებს აქტიურად ატარებს. ქვემო ქართლში, მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყულარისა და ლომთაგორას ტერიტორიებზე გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს. ხე-ბუჩქნარისა და ნატანისგან იწმინდება ვაზიანის არხის 2000 მეტრიანი მონაკვეთი, რაც სარწყავი წყლის მიწოდებას 100-120 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გააუმჯობესებს. აღდგენითი სამუშაოები უტარდება ხრამ არხის სარწყავი სისტემის 3000 მეტრიან მონაკვეთსაც. მიმდინარე სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს. შედეგად, მუნიციპალიტეტში წყალუზრუნველყოფილი გახდება 150 ჰექტარი სავარგული.

რუშას დამშრობი არხის მაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

12 დეკემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ დასავლეთ საქართველოში, სამელიორაციო სისტემებზე გაწმენდით სამუშაოებს აწარმოებს. აბაშის მუნიციპალიტეტში, რუშას დამშრობი არხის მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობს. ხე-ბუჩქნარისა და ნატანისგან იწმინდება სადრენაჟე არხის 2900 მეტრიანი მონაკვეთი. სამუშაოების დასრულების შემდეგ, სოფელ მარანის 13 ჰექტარი მიწის ფართობი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებას შეიძენს.

ჩოლოქში სადრენაჟე არხი იწმინდება

13 დეკემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ჩოლოქის მასივზე სადრენაჟე კოლექტორისა და შემკრები არხების გაწმენდით სამუშაოებს ატარებს. სამუშაოები დამშრობი არხის 960 მეტრიან მონაკვეთზე მიმდინარეობს. დაგეგმილია 10 000 მეტრი ორნატების მოწყობა.

არხის მოწესრიგების შედეგად, 25 ჰექტარი მიწის ფართობი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებას შეიძენს. აღნიშნული ფართობით სოფელ ჩოლოქის მოსახლეობა ისარგებლებს. სამუშაოები ნოემბერში დაიწყო და დეკემბრის ბოლოს დასრულდება.

თელავის მუნიციპალიტეტში სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს

18 დეკემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სარწყავი სისტემების მოწესრიგებას აგრძელებს. თელავის მუნიციპალიტეტში, მიმდინარე სამუშაოების ფარგლებში: გაიჭრება 800 მეტრი სიგრძის ახალი არხი. აღნიშნული არხის მეშვეობით ნაურდლის მაგისტრალური არხი სოფ. ართანაში, მდინარე დიდხევიდან დამატებით კვებას აიღებს. მოეწყობა გამანაწილებელი ბეტონის ჭა. სამუშაოები ითვალისწინებს 225 მეტრიან მონაკვეთზე ლითონის მილის ჩაწყობას, რაც მაგისტრალურ არხში წყლის ჩადინებას უზრუნველყოფს. მიმდინარე სამუშაოების შედეგად, სოფელ ნაფარეულში სარწყავი წყლის მიწოდება დაახლოებით 300 ჰექტარზე გაუმჯობესდება.

ხონი-სამტრედიის სარწყავი სისტემის გამანაწილებელი არხი გაიწმინდა

20 დეკემბერი

იმერეთში, ხონი-სამტრედიის სარწყავი სისტემის გამანაწილებელ არხზე და მის განშტოებაზე სარემონტო-საექსპლუატაციო ღონისძიებები დასრულდა. ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან გაიწმინდა პირველი და მეორე რიგის წყალგამანაწილებლები. მოწესრიგდა არხებზე განთავსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა - ხიდ-ბოგირები და წყალგამშვებები. სამუშაოების ფარგლებში, გაიწმინდა ახალი მახარაძის არხის 5 000 მეტრიანი და მისი განშტოების 3 000 მეტრიანი მონაკვეთები. საირიგაციო სისტემაზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ხონის მუნიციპალიტეტში დამატებით 65 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება, ხოლო სარწყავი წყლის მიწოდება სოფელ მათხოჯისა და ნახახულევის 105 ჰექტარ სავარგულზე გაუმჯობესდება. სამელიორაციო სამუშაოები შპს „საქართველოს მელიორაციამ“ საკუთარი ძალებით განახორციელა.

სოფელ შაშიანში დამშრობი არხის მაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

21 დეკემბერი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ შაშიანში, ქვემო ალაზნის მაგისტრალური არხის გ-13 გამანაწილებლის მიმდებარედ არსებული დამშრობი არხის მოწესრიგების სამუშოები მიმდინარეობს. ნალექისა და ბუჩქნარისაგან იწმინდება არხის 700 მეტრიანი მონაკვეთი. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, კახეთში, სადრენაჟე მომსახურება აღდგება 50 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე.

გაწმენდითი სამუშაოები შპს „საქართველოს მელიორაციამ“ მიმდინარე წლის ნოემბერში დაიწყო და დასრულების ეტაპზეა.

ჭიათურის დამშრობ არხს გაწმენდითი სამუშაოები უტარდება

24 დეკემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენა-მოწესრიგების სამუშაოებს აქტიურად ახორციელებს.

კახეთში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ჭიაურის დამშრობ არხს გაწმენდითი სამუშაოები უტარდება. N2 კოლექტორის 2000 მეტრიანი მონაკვეთი ნატანისა და დანალექისაგან იწმინდება.

მიმდინარე სამუშაოების განხორციელების შედეგად, სოფელ ჭიაურში 80 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება.

სოფელ ჯურყვეთში საღრენაჟე არხი გაიწმინდა

25 დეკემბერი

შპს „საქართველოს მელიორაციამ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დამშრობი სისტემის მოწესრიგების სამუშაოები დაასრულდა. სოფელ ჯურყვეთში დედაბერა-ნიგვზიანის სადრენაჟე არხს გაწმენდითი სამუშაოები ჩუტარდა. საექსპლუატაციო ღონისძიებების ფარგლებში დანალექისგან გაიწმინდა კოლექტორი და შემკრები არხების 7250 მეტრიანი მონაკვეთი. განხორციელებული სამუშაოების შედეგად, სადრენაჟე მომსახურება 40 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე აღდგა.

აღმაშენებლის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

26 დეკემბერი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ოთარ შამუგია მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელთან, ზაურ ტაბატაძესთან და რეგიონალური სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, ქვემო ქართლში იმყოფებოდა, სადაც ინფრასტრუქტურული პროექტები ინტენსიურად მიმდინარეობს.

მარნეულის მუნიციპალიტეტში, რეაბილიტაცია უტარდება აღმაშენებლის სარწყავ სისტემას. პროექტის ფარგლებში, სოფელ საიმერლოში, არსებული გრუნტის არხი, ჯამში 630 მეტრიანი მონაკვეთი რკინაბეტონით მოპირკეთდება.

დაგეგმილია წყალგამშვები ფარებისა და გადასასვლელი ხიდების მოწყობა, გარემონტდება ჰიდროტექნიკური ნაგებობა. დღეის მდგომარეობით სამუშაოების დაახლოებით 70% უკვე შესრულებულია.

აღმაშენებლის სარწყავი სისტემის სრულად რეაბილიტაციის შედეგად, მუნიციპალიტეტში 1,886 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება.

რეაბილიტირებული სამელიორაციო სისტემით 8 სოფლის - (თამარისი, ბაილარი, საიმერლო, ბადარი, ფუტლიარი, მუღანლო, ლეჟბადინი და ხუტორლეჟბადინი) მოსახლეობა ისარგებლებს.

სოფელ ხეთაში დამშრობი სისტემის მაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

27 დეკემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ხობის მუნიციპალიტეტში, დამშრობი სისტემის აღდგენით სამუშაოებს ატარებს. სოფელ ხეთაში, ხობი-უტორას მასივზე გაწმენდითი სამუშაოები უტარდება კოლექტორულ და შემკრებ არხებს. დანალექისა და ნატანი მასისგან იწმინდება 5510 მეტრიანი მონაკვეთი. განხორციელებული სამუშაოების შედეგად, დრენირებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს 65 ჰექტარი დაემატება.